ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2841027

ნომერი: AR1439775

თარიღი : 12.09.2016

გაცემის თარიღი : 19.09.2016

გაცნობის თარიღი : 19.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარი რამიშვილი პ/ნ 01005010172
- თბილისი ვ.სარაჯიშვილის ქ. N 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, შპს „დიბელი ჯგუფი“-ს დირექტორს წარმოადგენს მოქ. ვახტანგ ლაშხი, საჭიროა „.არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება“-ს ველში ატვირთოთ მის მიერ თქვენ სახელზე გაცემული თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით ან დარეგისტრირებულ იქნეს თანაგანმცხადებლად.

ვინაიდან მოთხოვნის ტექსტში აფიქსირებთ ინფორმაციას რომ N 01.00.002 და N 01.00.326 ხაზოვანი ნაგებობის არ გადის ღობის საპროექტო ტერიტორიაზე, წარმოდგენილ იქნას შ.პ.ს ‘ახალი ქსელები“-ს და სს „თელასი“-ს წერილობითი დასტური (დამოწმებული სახით) აღნიშნულთან დაკავშირებით, ხოლო თუ აღნიშნული კომუნიკაციები მდებარეობს მიწის ქვეშ, დამატებით წარმოდგენილ იქნას ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრეების თანხმობები ღობის განთავსებასთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.